29/06/2026

MES 9 26 0000812951

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 15/06/2026
სხდომის დაწყების დრო: 12:05 სთ
სხდომის დამთავრების დრო: 12:55 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: სერგო ჭელიძე (II, IV საკითხი)
სხდომის თავმჯდომარე: ვასილ გონაშვილი (I, III საკითხი)
საბჭოს მდივანი: ზურაბ ქავთარია (II, III, IV საკითხი)
სხდომის მდივანი: ციური დურული (I საკითხი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა Zoom-ის, გამოყენებით 2026 წლის 15 ივნისს.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

- **სერგო ჭელიძე** - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
- **ვასილ გონაშვილი** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
- **ზურაბ ქავთარია** - ა(ა)იპ- საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე - საბჭოს მდივანი;

- **ნათია ჯოჯუა** - შპს ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- **რიმა ბერიაშვილი** - სსიპ- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, ამავე უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
- **მარიამ ბოჭორიშვილი** - ა(ა)იპ- ტად ვიკის დირექტორი, სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და დიზაინის სკოლის ხელმძღვანელი;
- **თამარ გამსახურდია** - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი;
- **ციური დურული** - სსიპ- გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
- **ნინო მინდიაშვილი** - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
- **ნარგიზ ფალავანდიშვილი** - სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
- **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
- **ნინო ჩინჩალაძე** - ა(ა)იპ- ფონდი საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;
- **ბაქარ ბერეკაშვილი** - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დოქტორანტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **ანა ჯუღელი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
2. **გვანცა ძიძიგური** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
3. **ლალი ოდიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
4. **თათია მამრიკიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

- **კახაბერ კორძაია** - რექტორი;
- **მარინა გედევანიშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- **ნინო ჭალაგანიძე** - ვიცე კანცლერი;
- **ვახტანგ წივწივაძე** - კანცლერი.

პს საქართველოს უნივერსიტეტი

- **არჩილ ჯანგირაშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- **თეონა ლაგვილავა** - სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსი.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

- **ანა გვრიტიშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

ა(ა)იპ -საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი

- **არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე)** - რექტორი;
- **თემურ წურწუმია** - იურიდიული სამსახურის უფროსი;
- **მაგდა ბარამაძე** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

- **ეკატერინე ბაკარაძე** - IV საკითხი;
- **გაგა გვენეტაძე** - IV საკითხი.

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:05 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ II და IV საკითხებს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ სერგო ჭელიძემ, ხოლო I და III საკითხებს - ვასილ გონაშვილმა. აგრეთვე, სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ II, III, და IV საკითხებზე საბჭოს მდივანი იყო ზურაბ ქავთარია, ხოლო I საკითხზე სხდომის მდივანად განისაზღვრა ციური დურული.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების, მათ შორის საბჭოს მოწვეული წევრების, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
2. პს საქართველოს უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;

4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
2. პს საქართველოს უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
- **არა**

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
- **კი**

თვითაცილება განაცხადეს ნინო მინდიაშვილმა, ზურაბ ქავთარიამ და სერგო ჭელიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს, წარმოედგინა ინფორმაცია განსახილველი საკითხის ირგვლივ.
უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა საბჭოს გააცნო მოქალაქე მუჰამად საჯი იუნასეს მიერ წარმოდგენილი საჩივარი. განმცხადებელი ითხოვდა სწავლის საფასურის დაბრუნებას იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სავიზო პროცედურებთან დაკავშირებული პრობლემების გამო ვერ შეძლო სწავლების გაგრძელება გლობალური პრობლემებისა და უსაფრთხოების პროგრამაზე.
საჩივრის განხილვის ფარგლებში სტუდენტმა წარმოადგინა ყველა საჭირო დოკუმენტაცია. აღნიშნულის საფუძველზე ცენტრმა მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელმაც განმარტა, რომ სტუდენტს იმ დროისთვის აქტიური სტუდენტის სტატუსი ჰქონდა. დაწესებულების პოზიციის თანახმად, თანხის დაბრუნების პროცედურის განხორციელებამდე აუცილებელი იყო სტუდენტს სტატუსის შეჩერების მოთხოვნით მიემართა დაწესებულებისთვის, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდებოდა შესაბამისი ფინანსური ანგარიშსწორების განხორციელება.

საბჭოსთვის წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე ეტაპზე დაწესებულებას უკვე დაბრუნებული აქვს სტუდენტის მიერ გადახდილი თანხა. საქმის განხილვის შედეგად ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევის ფაქტი არ დადასტურდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა გედევანიშვილმა განმარტა, რომ სტუდენტი პროგრამაზე ჩაირიცხა 13 თებერვალს, რის შემდეგაც მას გაეგზავნა შესაბამისი ადმინისტრაციული ბრძანება, რომელიც სავიზო პროცედურების გასავლელად იყო საჭირო. თუმცა, საელჩოს გადაწყვეტილებით, სტუდენტს ვიზა არ მისცეს, რის გამოც მან ვერ შეძლო სასწავლო პროცესში ჩართვა.
სტუდენტს სწავლის საფასური წინასწარ ჰქონდა გადახდილი და აღნიშნული თანხის დაბრუნებას ითხოვდა. მას შემდეგ, რაც საგანმანათლებლო დაწესებულებამ ცენტრისგან მიიღო ოფიციალური წერილი, უნივერსიტეტმა 24 აპრილს წარმოადგინა შესაბამისი განმარტება და სტუდენტთან განხორციელებული მიმოწერის ასლები.
მარინა გედევანიშვილის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება თანხის დაბრუნებაზე თანხმობას გამოხატავდა, სტუდენტი აგრძელებდა სხვადასხვა უწყებაში საჩივრების წარდგენას. 25 აპრილს საკითხზე შესაბამისი რეზოლუცია დაიდო, რის შემდეგაც დაწესებულება ყოველდღიურ რეჟიმში ცდილობდა სტუდენტისგან მიეღო საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც უნდა განხორციელებულიყო თანხის ჩარიცხვა. თუმცა, სტუდენტისგან უკუკავშირი მხოლოდ 13 მაისს იქნა მიღებული, რამაც თანხის დაბრუნების პროცესი შეაფერხა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:15
დასრულების დრო: 12:25

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88 - ე მუხლის მე - 8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს სხდომა დატოვა მარიამ ბოჭორიშვილმა, სხდომას შემოუერთდა ნათია ჯოჯუა.

2. პს საქართველოს უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
• არა

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
• არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს, წარმოედგინა ინფორმაცია განსახილველი საკითხის ირგვლივ.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს გააცნო სტუდენტ მისკი ჰარდი აჰმედის მიერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი განცხადება, რომელიც ეხებოდა სამედიცინო ქიმიის სასწავლო კურსის გამოცდის ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს.
განცხადებაში სტუდენტი მიუთითებდა, რომ გამოცდის ჩატარებისა და განმეორებითი გამოცდის დანიშვნის პროცესში ადგილი ჰქონდა გარკვეულ ხარვეზებს. კერძოდ, მისი განმარტებით, განმეორებითი გამოცდის თარიღი დაინიშნა მანამდე, ვიდრე მიიღებდა პასუხს მის მიერ წარდგენილ სააპელაციო განცხადებაზე. ამასთანავე, სტუდენტი აღნიშნავდა, რომ უნივერსიტეტის მიერ თავდაპირველად მიეწოდა ინფორმაცია გადაბარების ერთ თარიღთან დაკავშირებით, თუმცა შემდგომში გამოცდა სხვა თარიღისთვის დაინიშნა, რის გამოც მან ვერ შეძლო გამოცდაზე გამოცხადება, რადგან იმ დროისთვის საქართველო უკვე დატოვებული ჰქონდა.
აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით ცენტრმა მიმართა საქართველოს უნივერსიტეტს. უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სტუდენტს დამატებითი გამოცდის ჩატარების შესაძლებლობა მიეცა და გამოცდა 2026 წლის 4 მაისს დაენიშნა.
უნივერსიტეტისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ცენტრმა სტუდენტს აცნობა, რომ მისთვის დამატებითი გამოცდა იყო დანიშნული. აღნიშნულის შემდეგ სტუდენტს დამატებითი პრეტენზია აღარ დაუფიქსირებია და საკითხი ამოწურულად იქნა მიჩნეული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
დაწესებულებას პოზიცია არ დაუფიქსირებია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრმა, თამარ გამსახურდიამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს. მისი ინტერესის საგანს წარმოადგენდა ის გარემოება, თუ რატომ არ დაკმაყოფილდა სტუდენტის თავდაპირველი მოთხოვნა ნაშრომის შინაარსობრივი რევიზიის თაობაზე და რამდენად შეიძლება ჩაითვალოს ხელახალი გამოცდის დანიშვნა აღნიშნულ ვითარებაში ადეკვატურ აღდგენით ღონისძიებად.
დაწესებულების წარმომადგენელმა, თეონა ლაგვილავამ, განმარტა, რომ სტუდენტის ნაშრომი ხელახლა გადაიხედა და შეფასების პროცესში დამატებით ჩაერთო სხვა აკადემიური პერსონალიც. მისი შეფასება სრულად დაემთხვა თავდაპირველ შეფასებას, რის საფუძველზეც უნივერსიტეტმა მიიჩნია, რომ ნაშრომის შეფასების შედეგის ცვლილების საფუძველი არ არსებობდა. შესაბამისად, სტუდენტს მიეცა დამატებითი შესაძლებლობა და დაინიშნა ხელახალი გამოცდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:30
დასრულების დრო: 12:32

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: პს საქართველოს უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88 - ე მუხლის მე - 8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს პს საქართველოს უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
• არა

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

• კი

თვითაცილება განაცხადა სერგო ჭელიძემ შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პარტნიორ უნივერსიტეტთან არსებული შრომითი ხელშეკრულების გამო.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს, წარმოედგინა ინფორმაცია განსახილველი საკითხის ირგვლივ.
ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო სტუდენტ რუბინ შეიხის განცხადების საფუძველზე, რომელიც ეხებოდა საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული შესაძლო დარღვევის საკითხს.
წარმოების ფარგლებში შესწავლილი გარემოებების საფუძველზე დადგინდა, რომ სტუდენტის მოთხოვნა სწავლის საფასურის დაბრუნების შესახებ დაკმაყოფილდა და თანხის დაბრუნების პროცესი დასრულდა. ამის საფუძველზე ცენტრი აყენებს შუამდგომლობას წარმოების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა გვრიტიშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტს თანხა დაუბრუნდა 6 აპრილს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:35
დასრულების დრო: 12:37

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88 - ე მუხლის მე - 8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
• არა

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
• არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, არგუმენტირებულ პოზიციას და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ეკატერინე ბაკარაძემ აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში შეფასდა მეორე სტანდარტის სამივე კომპონენტი და მეოთხე სტანდარტის 4.1 ქვეკომპონენტი. მისი განმარტებით, დაწესებულებას ჯამში ჰქონდა ხუთი რეკომენდაცია, რომელთაგან ერთი შეფასდა შესრულებულად, ხოლო დანარჩენი – მეტწილად ან ნაწილობრივ შესრულებულად. 2.1 კომპონენტთან დაკავშირებული რეკომენდაცია შეეხებოდა რეორგანიზაციის პროცესის სამართლებრივად გამართულ განხორციელებას. კერძოდ, რეკომენდაციის თანახმად, ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აისახებოდა დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებში, მათ შორის წესდებაში, უნდა ყოფილიყო სათანადოდ რეგისტრირებული და

ასახული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. მონიტორინგის პროცესში წესდების ცვლილებების სამართლებრივი დადასტურება ვერ იქნა მოძიებული. ექსპერტების მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ 2022 წლის მაისის შემდეგ აღნიშნული მიმართულებით ცვლილებები არ განხორციელებულა. 2.2 კომპონენტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია ეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციებისა და კომპეტენციების გამიჯვნას და მათ შესაბამისობას წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებთან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დეტალურად იყო გაწერილი მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ფუნქციები, მაშინ როდესაც სხვა თანამშრომლების ფუნქციური მოვალეობები სათანადოდ განსაზღვრული არ იყო. ამასთანავე, დადგინდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ერთპიროვნულად ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რექტორი, რაც ფუნქციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული. რაც შეეხება 4.1 ქვეკომპონენტს, რეკომენდაცია ეხებოდა თანამშრომლებთან კომუნიკაციის ფორმების მოწესრიგებასა და კორპორატიული ელექტრონული ფოსტის სისტემის დანერგვას. უნივერსიტეტმა დანერგა ელექტრონული ფოსტის სისტემა Gmail-ის პლატფორმის გამოყენებით, თუმცა ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული მისამართები სრულად ვერ უზრუნველყოფს კორპორატიული მართვისა და ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის საჭირო სტანდარტების დაკმაყოფილებას. მათი პოზიციით, მიზანშეწონილია უნივერსიტეტისათვის შესაბამისი tamariuni.edu.ge დომენზე დაფუძნებული ელექტრონული სისტემის შექმნა, რაც აღნიშნულ მოთხოვნებს სრულად დააკმაყოფილებს. ეკატერინე ბაკარაძემ ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა მისი გათვალისწინება ვეღარ შეძლო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენლემა, თემურ წურწუმიამ 2.1 ქვეკომპონენტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინსტიტუციამ გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაციები და არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა შესაბამისობაში მოიყვანა წესდებით განსაზღვრულ სტრუქტურასთან. მისი განმარტებით, წესდება უნივერსიტეტს აძლევს შესაძლებლობას, რექტორის უფლებამოსილების ფარგლებში განსაზღვროს ის სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც წესდებით არის გათვალისწინებული. ამასთანავე, წესდება უნივერსიტეტს უფლებას ანიჭებს, საკუთარი საჭიროებებისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, დააფუძნოს სხვა სტრუქტურული ერთეულებიც. შესაბამისად, მისი შეფასებით, მოქმედი წესდება სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის ორგანიზაციულ მოწყობას.

2.2 ქვეკომპონენტთან დაკავშირებით თემურ წურწუმიამ განმარტა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები განსაზღვრულია შესაბამის დებულებაში, ხოლო სამსახურის თანამშრომელთა ინდივიდუალური ფუნქციური მოვალეობები ასახულია მათ შრომით ხელშეკრულებებში.

მან ასევე აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის დანიშვნა რექტორის ბრძანებით ხორციელდება უნივერსიტეტის დაარსების დღიდან და წარმოადგენს დაწესებულებაში დამკვიდრებულ პრაქტიკას. მისი თქმით, აღნიშნულ მიდგომასთან დაკავშირებით პრაქტიკაში რაიმე სახის პრობლემა არ გამოვლენილა. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი მზად არის გადახედოს და შეცვალოს არსებული მიდგომა.

4.1 ქვეკომპონენტთან მიმართებით თემურ წურწუმიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და უკვე მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება რეკომენდაციის სრულად შესასრულებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრმა, ნინო მინდიაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და დაინტერესდა, რა კრიტერიუმების საფუძველზე ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შერჩევა.
თემურ წურწუმიამ განმარტა, რომ აღნიშნული თანამდებობის დასაკავებლად განსაზღვრულია შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილებაც კანდიდატისთვის სავალდებულოა.
სერგო ჭელიძემ 2.1 ქვეკომპონენტთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე საუბრისას აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა წარმოდგენილი ამონაწერი შესაბამისი რეესტრიდან. მისი ინტერესის საგანს წარმოადგენდა, თუ რა მიზეზით ვერ მოხერხდა აღნიშნული დოკუმენტის წარდგენა.
აღნიშნულ კითხვაზე პასუხად თემურ წურწუმიამ განმარტა, რომ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დებულება შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულ წესდებასა და სტრუქტურასთან. მისი თქმით, დაწესებულებამ წესდებით გათვალისწინებული ცვლილებები შესაბამის დოკუმენტებში ასახა და ამ მიმართულებით უზრუნველყო მოთხოვნების შესრულება.
სერგო ჭელიძემ ასევე აღნიშნა, რომ მონიტორინგი განხორციელდა იანვარში და დაინტერესდა, რატომ ვერ მოხერხდა აღნიშნული პერიოდიდან კორპორატიული ელექტრონული ფოსტის სისტემის სრულად დანერგვა და გამოყენება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი უკვე დარეგულირებულია და ინსტიტუციამ შესაბამისი ზომები მიიღო რეკომენდაციის შესასრულებლად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:49
დასრულების დრო: 12:55

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შესახებ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდეს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და დაწესებულებას დაავალა მათი შესრულება მომავალი ავტორიზაციის პროცესისათვის თვითშეფასების ანალიზის შესაბამისად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 2026 წლის 15 ივნისს 12:55 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
დურული ციური

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქავთარია ზურაბი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
გონაშვილი ვასილ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჭელიძე სერგო